ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7563438

ნომერი: AR11101115

თარიღი : 21.07.2025

გაცემის თარიღი : 22.07.2025

გაცნობის თარიღი : 23.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დგებუაძისა და ხვამლის ქუჩებს შორის (ნაკვ. 1/20);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ნანსყანი პ/ნ 01027077355
- ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. კვ. 5, კორპ. 7, ბინა 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 21 ივლისს №AR11101115 განცხადებით მომართა გიორგი ნანსყანმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის

№7264003 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებით შეთანხმდა №01.13.08.001.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე რესტორნის რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 28 ოქტომბრიდან 2025 წლის 28 აპრილის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა პროექტირების შედეგად მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. კერძოდ, განმცხადებელი ითხოვს, სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტირების შედეგად მითითებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს კომერციული ფართობი 152.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 12.8 კვ.მ., ხოლო, ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი 152.7 კვ.მ და საცხოვრებელი ფართობი 10.2 კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით კი საერთო ფართობად 266.3 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 268.9 კვ.მ.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებაში და:

1.1.პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში (მეათედების სიზუსტით) საერთო ფართობად დაფიქსირდეს 268.9 კვ.მ.

1.2.პროექტირების შედეგად მიღებულ ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებს დაემატოს კომერციული ფართობი 152.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 12.8 კვ.მ.,

1.3.პროექტირების შედეგად მიღებული ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას დამხმარე ფართობი 152.7 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობი 10.2 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 28 ოქტომბრის №7264003 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.